**პროექტი**

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**განკარგულება №**

**ქალაქი ბათუმი ____ ოქტომბერი, 2024 წ.**

**ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის I შესახვევი N2-ში და დასახლება მახინჯაურში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.34.22.121; 05.34.22.555; 05.34.22.554; 05.34.22.312; 05.34.22.530) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის I შესახვევი N2-ში და დასახლება მახინჯაურში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.34.22.121; 05.34.22.555; 05.34.22.554; 05.34.22.312; 05.34.22.530) დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, თანახმად დანართისა.
2. განემარტოს შპს „აჭარის კურორტებს“ (ს/N245547396), რომ იგი ვალდებულია განაშენიანების დეტალური გეგმის ეტაპზე გაითვალისწინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2024 წლის 29 ოქტომბრის N01-01-10/9200 წერილით დადგენილი პირობები.
3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ** **ირაკლი თავდგირიძე**

## განმარტებითი ბარათი
## პროექტის სახელწოდება და სათაური

**„ქ. ბათუმში, თამარ მეფის I შესახვევი N2-ში და დასახლება მახინჯაურში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.34.22.121; 05.34.22.555; 05.34.22.554; 05.34.22.312; 05.34.22.530) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**

### ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

### ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

განკარგულების მიღების მიზანია ქ. ბათუმში, თამარ მეფის I შესახვევი N2-ში; დასახლება მახინჯაურში მდებარე მიწის ნაკვეთებზე ს.კ. 05.34.22.121; 05.34.22.555; 05.34.22.554; 05.34.22.312; 05.34.22.530 განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება.

განმცხადებელი - შპს ,,აჭარის კურორტები'' (245547396);

საპროექტო ტერიტორია - ქ. ბათუმში, თამარ მეფის I შესახვევი N2-ში; დასახლება მახინჯაურში მდებარე მიწის ნაკვეთებზე ს.კ. 05.34.22.121; 05.34.22.555; 05.34.22.554; 05.34.22.312; 05.34.22.530

გეგმარებითი ერთეული: ქ. ბათუმში, თამარ მეფის I შესახვევი N2-ში; დასახლება მახინჯაურში მდებარე მიწის ნაკვეთებზე ს.კ. 05.34.22.121; 05.34.22.555; 05.34.22.554; 05.34.22.312; 05.34.22.530

საპროექტო ობიექტის ფუნქციაა დასასვენებელი საცხოვრებელი სახლები.

მის: ქ. ბათუმში, დასახლება მახინჯაურში, თამარ მეფის I შესახვევი N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე N05.34.22.555; 05.34.22.121; 05.34.22.554; 05.34.22.312; 05.34.22.530 4 სართულიანი დასასვენებელი სახლების მშენებლობისათვის. ინიციატორის მოთხოვნაა კონცეფციის დამტკიცება. - არსებული პარამეტრები - k1 =3291.6 kv.m = 0.2 k2 =8076.4 kv.m = 0.5 k3 = 12 481.8 kv.m = 0.8; მოთხოვნილი - ნაკვეთი 01 - რესტორანი და რეკრეაცია მიწის ნაკვეთის ფართობი = 6481.8 kv.m k1 =500 kv.m = 0.07 = 0.1 k2 =1000 kv.m = 0.14 = 0.1 k3 = 5981.8 kv.m = 0.92 = 0.9 ნაკვეთი 02 - დასასვენებელი საცხოვრებელის მიწის ფართობი = 6482.7 kv.m k1 = 2217.6 kv.m = 0.34 = 0.3 k2 = 4980.4 kv.m = 0.76 = 0.8 k3 = 4200 kv.m = 0.65 = 0.6 nakveTi 03 - დროებით დასასვენებელის მიწის ფართობი = 2925.1 kv.m k1 = 574.0 kv.m = 0.19 = 0.2 k2 = 2096.0 kv.m = 0.71 = 0.7 k3 = 2300 kv.m = 0.78 = 0.7;

### ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმში, თამარ მეფის I შესახვევი N2-ში; დასახლება მახინჯაურში მდებარე მიწის ნაკვეთებზე ს.კ. 05.34.22.121; 05.34.22.555; 05.34.22.554; 05.34.22.312; 05.34.22.530 განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

### ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) განკრგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარ-ჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

### გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

### დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

**ე) პროექტის ავტორი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

**ვ) პროექტის ინიციატორი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

**ზ)** განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის**
**ქალაქგანვითარებისა და ურბანული**
**პოლიტიკის სამსახურის უფროსი** **გიორგი წანაწყენიშვილი**